თსსა აცხადებს მიღებას მედიახელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე - მედიახელოვნება/ციფრული მედია.

გამოცხადებული ადგილების რაოდენობა - 15

რეგისტრაცია - სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია და წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- განცხადება დეკანის სახელზე.
- ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დამოწმებული ასლი.
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.
- ფოტოსურათი (CD-ზე ჩაწერილი)
- სამხედრო აღრიცხვის საბუთი (ვაჟებისთვის)

საკონტაქტო პირი: სვეტლანა როსტიაშვილი -555418381.
თსსა.გრიბოედოვის 22, მედიახელოვნების ფაკულტეტის დეკანატი.

სამაგისტრო პროგრამა მედიახელოვნება/ციფრული მედია აკრდიტებულია და განეკუთვნება თანამედროვე ციფრული ხელოვნების აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოების დარგს :

ფართო სფერო (მიმართულება): 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები ARTS AND HUMANITIES

ვიწრო სფერო (დარგი/სპეციალობა): 021 ხელოვნება ARTS

დეტალური სფერო (ქვედარგი/სპეციალიზაცია): 0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/ წარმოება AUDIO-VISUAL TECHNIQUES AND MEDIA PRODUCTION.

სამაგისტრო კურსი აუდიოვიზუალურ ინდუსტრიას ამარაგებს მაღალი შემოქმედებითი და ტექნიკური უნარების მქონე დიზაინერებით. სწავლის განმავლობაში სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ ციფრული ხელოვნების სამყაროში სხვადასხვა მულტიმედიური და ტექნიკური საშუალებებით ექსპერიმენტების, რათა წარმოაჩინონ და განავითარონ საკუთარი შემოქმედებითი უნარები, როგორც ვირტუალური, ისე რეალური გარემოსათვის.

მხატვრული ხედვის ეფექტურად გადმოცემის მიზნით და ციფრული მედიახელოვნების საშუალებებზე დაყრდნობით, როგორიცაა მულტიმედიური გრაფიკა, ხმა, ვიდეო გამოსახულება,

ანიმაცია, შექმნიან შემოქმედებით ნამუშევრებს. უფრო მეტიც, ეს კურსი სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს გაიარონ პედაგოგიური პრაქტიკა, მონაწილეობა მიიღონ ან/და გააკონტროლონ სხვადასხვა პროექტები, მათ შორის:

- 3D პროექტის შემუშავება, როგორიცაა კომპიუტერული თამაში, მოკლე ფილმი ან ვიდეო კლიპი;
- 2D პროექტის შექმნა, რომელიც მოიცავს ვიზუალური კონტენტის დიზაინს ონლაინ ბიზნესისთვის ან ბეჭდური მედიისთვის;
- კრეატიული ფოკუსით ვიდეოპროექტის წარმოება;
- მხატვრული ჩანაფიქრით ფოტოპროექტის შესრულება;
- კრეატიული მულტიმედიური ონლაინ პლატფორმის დაპროექტება
- კრეატიული მობილური აპლიკაციის შექმნა;

პროგრამაზე მიღების წინაპირობა: მედიახელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე ჩაირიცხება პირი, თუ მას აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და ჩააბარებს თსსა-ს მიერ ორგანიზებულ გამოცდას:

1. **უცხო ენა** (ტესტი, საკმარისია ბარიერის გადალახვა მინიმალური -51 ქულით).

   გამოცდა უცხო ენაში ტარდება თსსა საგამოცდო კომისიის მიერ და ფასდება 100 ქულიანი სისტემით.

2. **შემოქმედებითი პორტფოლიო** (შესრულება: ნებისმიერი მასალა, ნებისმიერი ტექნიკა, მათ შორის შერეული-ციფრული და ტრადიციული.)

   შემოქმედებითი პორტფოლიო ფასდება თსსა მედიახელოვნების ფაკულტეტის საგამოცდო კომისიის მიერ 100 ქულიანი სისტემით შემდეგი კრიტერიუმებით:

   - შემოქმედებითობა (30 ქულა)
   - კომპოზიცია (30 ქულა)
   - შესრულების ტექნიკა (20 ქულა)
   - ფერის მოდელირება (20 ქულა)

3. **კომპოზიცის გამოცდა** (სპეციალობა: 3D ან 2D ციფრულ გრაფიკულ პროგრამაში ადგილზე შესრულებული დავალება)

   თემა: თავისუფალი (ადგილზე შეირჩევა კომისიის და სტუდენტის თანდასწრებით)

   გამოცდა ფასდება თსსა მედიახელოვნების ფაკულტეტის საგამოცდო კომისიის მიერ 100 ქულიანი სისტემით შემდეგი კრიტერიუმებით:

   - ორიგინალური მხატვრულ-შემოქმედებითი იდეა/ესკიზი (30 ქულა)

- კომპოზიციური განაწილება და შრიფტის გამოყენება (30 ქულა)
- ტექნიკური/გრაფიკული შესაძლებლობები (20 ქულა)
- ვერბალური პრეზენტაცია (20 ქულა)

ადგილზე დავალების შესასრულებლად გამოყოფილია 3 საათი;